

THE ISSUE OF SECULARIZATION OF THE CULT OF WOOD IN THE SOVIET EXPERIENCE

ხის კულტის სეკულარიზაციის საკითხი საბჭოეთის გამოცდილებაში

Eter Intskirveli

Associate Professor at Caucasus University,
Tbilisi, Paata Saakadze 1, 0102, Georgia,
+995 595 778 558; eintskirveli@cu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0007-9196-9608>

Abstract. In 1926, Vaso Aptsiauri's poem 'Don't cut down forests!' was published in 'New Village' magazine. The popularity of the poem led to the creation of various folk versions, which were documented by folklorists in different locations and time periods. The popularization of the poem was greatly facilitated by the strengthening of Soviet anti-religious propaganda, because, along with its artistic value, the poem precisely responded to the ideological discourse of the era.

As it is well-known, in the 1920s, the Bolshevik government waged a fierce campaign against all religious denominations, referring to them as 'religious vestiges', and attempted to eradicate any religious beliefs, ideas or traditions among the people. One of the targets of this propaganda was the Christmas tree and Ded Moroz ("Дед Мороз") associated with Christmas, who is a humanized version of the ferocious character of Russian folklore, Morozko. Ecology was cited as one of the arguments against the Christmas tree tradition, and since the above-mentioned verse was well suited to Soviet propaganda, the authorities used it for their own purposes.

In 1935, the Soviet authorities reintroduced the spruce as the main attribute of the New Year holiday, rather than Christmas. This was done to provide public holidays for people, particularly children. Ded Moroz also returned to Soviet children at this time.

The article examines the reception of the Christmas tree as an ancient tree cult in the Christian world. The issue of its conception, development-spread and indoctrination both in Western Europe and in the Russian Empire and the Soviet Union. Also, the issue of indoctrination of the character from the Russian myth - Ded Moroz - which has never been a subject of study in Georgian folkloristics.

Key words: Soviet ideology; Folk ecology; Christmas tree; Ded Moroz.

ეთერ ინჭკირველი

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
თბილისი, პაატა სააკაძის 1, 0102, საქართველო,
+995 595 778 558; eintskirveli@cu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0007-9196-9608>

აბსტრაქტი. 1926 წელს ჟურნალ „ახალ სოფელში“ გამოქვეყნდა ვასო აფციაურის ლექსი „ტყეებს ნუ სჩეხავ“. ლექსი მალევე გახდა პოპულარული, გაუჩნდა ხალხური ვარიანტები, რომელთაც ფოლკლორისტები სხვადასხვა კუთხეში იწერდნენ სხვადასხვა დროს. ლექსის გახალხურებას დიდად შეუწყობ ხელი საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებამ, რადგან, მხატვრულ ღირებულებასთან ერთად, ლექსი ზუსტად გამოეხმაურა ეპოქის იდეოლოგიურ დისკურსს.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ XX საუკუნის 20-იან წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა განურჩევლად ყველა კონფესიას, მათ „რელიგიური გადმონაშთები“ უწოდა და ყველა საშუალებით ცდილობდა, ადამიანებში ნებისმიერი რელიგიური რწმენა-წარმოდგენის თუ ტრადიციის აღმოფხვრას. ამ პროპაგანდის ერთ-ერთი სამიზნე გახდა საშობაო ნაძვის ხე და შობასთან დაკავშირებული თოვლის ბაბუაც, რომელიც რუსული ფოლკლორის მრისხანე პერსონაჟის, მოროზკოს, გაჰუმანურებულ ვერსიას წარმოადგენს. საშობაო ნაძვის ხის ტრადიციასთან ბრძოლის ერთ-ერთ არგუმენტად ეკოლოგია დასახელდა და რაკი ზემოთ ხსენებული ლექსი კარგად მოერგო საბჭოთა პროპაგანდას, ხელისუფლებამ ის საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა.

მოგვიანებით, 1935 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც იგრძნო ადამიანებისთვის და, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის სახალხო დღესასწაულების აუცილებლობა, კვლავ დააბრუნა ნაძვის ხე, ოღონდ ამჯერად არა საშობაო, არამედ სახალწლო დღესასწაულის მთავარ ატრიბუტად. მასთან ერთად საბჭოთა ბავშვებს დაუბრუნდა თოვლის ბაბუაც.

ნაშრომში შესწავლილია ნაძვის ხის, როგორც უძველესი ხის კულტის ქრისტიანულ სამყაროში რეცეფციის საკითხი. მისი ჩასახვის, განვითარება-გავრცელების და ინდოქტრინაციის საკითხი როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში. ასევე რუსული მითოსიდან წარმომობილი პერსონაჟის - თოვლის ბაბუას - ინდოქტრინაციის საკითხი, რაც ქართულ ფოლკლორისტიკაში არასდროს გამხდარა შესწავლის საგანი.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა იდეოლოგია; ხალხური ეკოლოგია; ნაძვის ხე; თოვლის ბაბუა.

შესავალი. ხის თაყვანისცემა კაცობრიობის კულტურისა და რელიგიის ისტორიაში განვითარების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ჯერ კიდევ ანიმიზმის პერიოდში ხე ღვთაებად ან ღმერთის ამქვეყნიურ სამყოფელად მოიაზრებოდა. ზოგ კულტურაში ხე დღემდე ითვლება წინაპართა სულების სადგომად ან ადამიანის მფარველად; უძველეს კოსმოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებში ხის უნივერსალურ სიმბოლოდ ჩამოყალიბება მისმა ტრიქონომეტრიულმა სტრუქტურამ განაპირობა. ამასთან, ვერტიკალური სამი სკნელის გამაერთიანებელი ხე სივრცის ჰორიზონტალური დანაწევრების (ცენტრი-პერიფერია) სიმბოლურ წყვილში ყოველთვის საკრალურ, სამყაროული ცენტრის/ღერძის ადგილს იკავებს.

არქაულ კულტურებში განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭებოდა მარადმწვანე ხეებს, როგორც მარადიულობის სიმბოლოს. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ანტიკურ სამყაროში ზამთრის მზებუდობაზე რომაული ღმერთის, სატურნის დღესასწაულების აღნიშვნისას რიტუალის მონაწილეები ნაძვის ტოტებისგან შეკრულ გვირგვინს ატარებდნენ; ზამთრის მზებუდობის დღეებს ასევე ყვავილებითა და ხილეულით მორთული ნაძვის ტოტებით ზეიმობდნენ კელტურ მითო-რიტუალურ სისტემაშიც. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების და ქრისტიანობის ზამთრის მზებუდობის დღეებთან დაკავშირების შემდეგ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ერთმანეთის პარალელურად აღინიშნებოდა ოფიციალური ქრისტიანობა და ტრადიციული ხალხური მზებუდობა, თავისი ხალხური მითო-რიტუალური სისტემით. თუმცა ჩვენთვის ნაცნობი ფუნქციით საშობაო ნაძვის ხე დასავლეთ ევროპაში პირველად XVI საუკუნის გერმანიაში გამოჩნდა.

შუა საუკუნეების კათოლიკურ ევროპაში „სხვა ადამად“ მოაზრებული იესო ქრისტეს შობის დღესასწაულთა ციკლის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს სამოთხის ეპიზოდის

მისტერიალური გათამაშება წარმოადგენდა. კათედრალის წინ მოწყობილ მცირე სცენაზე მოქალაქეებს შეეძლოთ, ცოდვით დაცემის ეპიზოდის თეატრალური წარმოდგენა ეხილათ, სადაც სამოთხისეული ხის დეკორაციად ვაშლებით მორთულ მარადმწვანე ნაძვს იყენებდნენ (Petz, 2022). დროთა განმავლობაში მარადმწვანე ნაძვი, როგორც სამოთხის ხის სიმბოლო, ქრისტიანობასთან ასოცირდა და პირველად 1539 წელს, შობის დღესასწაულზე, ოფიციალურად დაიდგა სტრასბურგის საკათედრო ტაძარში, უკვე როგორც შობის სიმბოლო. პარალელურად, საშობაო ნაძვის ლეგიტიმაციისთვის ხალხის წიაღში წარმოიშვა ყრმა იესოსა და ნაძვის ურთიერთკავშირის დამადასტურებელი საშობაო თქმულებები. მალე მთელი სტრასბურგის შემოგარენში და რამდენიმე წელიწადში სრულიად გერმანიაში საშობაო ნაძვის ხის ტრადიცია ისე გავრცელდა, რომ 1554 წელს ხელისუფლება იძულებული გახდა, აეკრძალა ნაძვების მოჭრა ეკოლოგიური მიზეზებით, თუმცა საშობაო ნაძვის ტრადიციის აღმოფხვრა არც უცდია. მოგვიანებით ევროპის პროტესტანტულ ნაწილში ნაძვის ნათურებით მორთვა მარტინ ლუთერის სახელს დაუკავშირდა, კერძოდ ლეგენდას, რომელიც მოგვითხრობს, რომ ერთხელ ღამით, ტყეში სეირნობისას, მარტინ ლუთერს დაუნახავს, როგორ ეფინებოდა ვარკვლავების ბრწყინვა ნაძვებს; ხოლო მისი ეს შთაბეჭდილება საშობაო ნაძვებზე სანთლების დამაგრების ტრადიციის საფუძველი გამხდარა (Душечкина, 2014: 17).

საშობაო ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია სწრაფად გავრცელდა ახლომახლო ევროპაში. 1700 წელს გერმანიისა და ჰოლანდიის მიწებზე მოგზაურობისას საშობაო ნაძვის ხის ტრადიციით აღფრთოვანებულა პეტრე პირველი. მან სცადა კიდევ მისი დანერგვა რუსეთში, მაგრამ ტრადიციად ვერ დაამკვიდრა, რადგან რუსებმა მალე მიივიწყეს ევროპული საშობაო ჩვეულება (Душечкина, 2014: 25).

ჩვენი ნაშრომის მიზანია, ნაძვის ხისა და თოვლის ბაბუას ტრადიციის წარმოშობისა და გავრცელების კვლევა როგორც ხალხურ, ისე ინსტიტუციონალურ დონეზე; მათი ინდოქტრინაციის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განზომილების შესწავლა. ათეისტური საბჭოთა კავშირის მიერ საშობაო ნაძვის სეკულარიზაციის და თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ხურჯინიანი თოვლის ბაბუას გენეზისის საკითხის გამოკვლევა.

მეთოდი. ფოლკლორული მოვლენის საფუძვლიანი შესწავლა კვლევის ინტერდისციპლინური და კომპლექსური მეთოდების გამოყენებას მოითხოვს. ნაშრომში კულტურულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით შესწავლილია საშობაო/სახალწლო ნაძვის ხის, როგორც ხის კულტის ინდოქტრინაციის საკითხი და მისი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები დასავლეთ ევროპასა და ათეისტურ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური დისკურსის და ანტირელიგიური პროპაგანდის ფონზე საშობაო ნაძვის ხის სეკულარიზაციის და მასთან დაკავშირებული თოვლის ბაბუას გენეზისის საკითხი შესწავლილია ისტორიულ-შედარებითი მეთოდით. სამუშაო მასალას წარმოადგენს როგორც ისტორიული ცნობები, ასევე მხატვრული ლიტერატურა, ხალხური ტრადიციები და ეთნოლოგიური მონაპოვარი. ნაშრომში ინდუქციური მეთოდითაა შესწავლილი ერთი მხრივ, ტრადიციული ტყის საკრალიზების, ე.წ. ხალხური ეკოლოგიის თემატიკაზე შექმნილი ლექსის „ტყეებს ნუ სჩეხავ“ კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები, ხოლო მეორე მხრივ, დედუქციური მეთოდით - ლექსის ეპისტემური წანამდღვრები საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდის და იდეოლოგიზებული კონტექსტის გათვალისწინებით.

შედეგები. კვლევის შედეგად გაირკვა ლექსის „ხეებს ნუ სჩეხავ“ ავტორ-მთქმელი, შეძლებისდაგვარად მოძიებული იქნა მისი ბიოგრაფია და სხვა ლექსებიც ტყის თემატიკაზე, რომლებიც არ გახალხურებულა. საკითხის ისტორიის კვლევამ გამოავლინა ნაძვის ხის ტრადიციის ჩასახვის ევროპული, ხოლო თოვლის ბაბუას წარმოშობის რუსული

ფესვები. საბჭოთა კავშირის მიერ ხის კულტით მანიპულირების საკითხი, როგორც ერთი მხრივ ანტირელიგიური პროპაგანდის და მეორე მხრივ - საბჭოთა ეკოლოგიური პოლიტიკის ნაწილი. კვლევამ გამოავლინა თოვლის ბაბუას არაქართული წარმოშობის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ რუსული ფოლკლორული პერსონაჟის ინტერნაციონალიზაციის საკითხი.

მსჯელობა. რუსეთში ნამძვის ხემ XIX საუკუნის შუა წლებიდან მოიკიდა ფეხი პეტერბურგელი გერმანელების წყალობით. სავარაუდოდ, ამავე პერიოდში უნდა დაწყებულიყო საშობაო ნამძვის ხის ტრადიციის დამკვიდრება საქართველოშიც, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილში, თუმცა, იმდროინდელი პრესის ფურცლებით ნათელი ხდება, რომ ჩვენში ნამძვს უპირატესად მოდის გამო დგამდნენ:

ქუთაისი. მოდის მიმდევრები. მოატანა დღესასწაულებმა და ქუთაისსაც, ცოტა არ იყვეს, მოძრაობა დაეტყო. ვაჭრობა გაჩაღდა და სოფლიდანაც ხალხს ბლომათ ყოველნაირი სანოვაგე ჩამოაქვს. დილაობით მოედანზედ ნამძვის შტოებით დატვირთულს ურმებს გზას ვერ აუქცევთ და იცით რათ უნდათ ეს ნამძვის ტოტები? – „იოლკათ“ ბატონო. ამ საშობაოთ და საახალწლოთ ერთ უკანასკნელ დაბალ ოჯახს ვერ იპოვით, მიკიტნისას თუ მეხილესას ანუ მზარეულისას, რომ რაღაც ტოტი არ ჩეერჭოს ქოთანში და ზედ წმიდა სანთლები არ მიეკრას და ამას საცოდავები „იოლკას“ უმახიან. განათლება თუ გნებავთ, ეს გახლავს და სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ტყუილა უბრალოდ იხარჯებიან და უიმისოდაც მისუსტებულ ტყეს უწყალოდ სჩეხენ და ისიც ნორჩ ხეებს!

(„ცნობის ფურცელი“, 1896: N. 67).

ტყის განადგურების თანაგრძნობით მოტივირებული სტატიის ირონიული ტონი ქუთაისელ მოდის მიმდევართა მიმართ, სინამდვილეში, განათლების ნაკლებობაზე მიაჩნებდა მკითხველებს. თუმცა, „იოლკის“ მოდა არ უნდა გასცილებოდა გუბერნიულ ცენტრებს - თბილისსა და ქუთაისს; სტატიის ხუმრობანარევი ტექსტიდანაც იგრძნობა, რომ მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, ნამძვს გაუჭირდებოდა ტრადიციულ ჩიჩილაკთან მეტოქეობა და მეკვლესაც ვერ შეეჯიბრებოდა რუსული „ბაბუა ყინვა“.

ნამძვის ხის პარალელურად რუსეთის იმპერიის ოფიციალურ წრეებში თანდათან შემოდის და მკვიდრდება რუსული მითოსურ-ფოლკლორული პერსონაჟი მოროზკო (Морозко/Дед Мороз - ბაბუა ყინვა), სადაც ის ბუნების ძალების პერსონიფიცირებულ სახეს წარმოადგენს. მოროზკო ტყეში, ყინულის ქოხში ცხოვრობს, მრისხანე და პირქუშია; მას შეუძლია მოყინოს როგორც მოსავალი, ასევე ტყეში წასული ადამიანი. ითვლებოდა, რომ ადამიანს უნდა მოემადლიერებინა ეს სასტიკი არსება. ამისთვის აღმოსავლეთსლავურ საშობაო რიტუალებში (Святки) XX საუკუნის 20-იან წლებამდე (და ფარულად უფრო გვიანაც) აღინიშნებოდა მისი მოპატიჟების დღე: სადღესასწაულო სუფრისთვის იხარშებოდა რიტუალური ფაფა. ოჯახის უფროსი დადგებოდა ზღურბლზე, ან ღუმელის სარკმლიდან გასძახებდა სტუმრად მოწვეულ მოროზკოს: „ყინვა, მიირთვი ფაფა და ნუ მოყინავ ჩვენს ხორბალს!“. შემდეგ ოჯახის უფროსი ჩამოთვლიდა ყოველგვარ მარცვეულს, ფაფას კი ყანაში წაიღებდა და ნათესებზე მოაფენდა (Иванов & Топоров, 1997: 176).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ე.წ. რომანტიკული ნაციონალიზმის ეპოქაში, როცა მთელს ევროპაში დაწინაურდა ფოლკლორის, როგორც ერის კულტურული დოვლათის, ჩაწერა-გამოცემა და შესწავლა, რუსეთის იმპერიაშიც პოპულარული ხდება ფოლკლორისტიკა. პარალელურად, რუსი რომანტიკოსი მწერლებიც ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ რუსული კულტურის ისტორიაში ფოლკლორული თემებისა და პერსონაჟების ლიტერატურული გადამუშავებით.

ასე მიიქცია რუსი რომანტიკოსი მწერლის, ვლადიმერ ოდოევსკის, ყურადღება ყინვის მითოსურმა პერსონაჟმა მანამდე, ვიდრე ალ. აფანასიევი ჩაწერდა მას და გამოაქვეყნებდა თავის ცნობილ ორტომეულში „რუსული ხალხური ზღაპრები“ (1855-1857). დეკაბრისტი ავტორის ლიტერატურული ზღაპარი - „მოროზ ივანოვიჩი“ (Мороз Иванович) - ბეჯითი და უქნარა გოგონების ამბავს მოგვითხრობს. ლიტერატურული ზღაპრის პერსონაჟი მოროზ ივანოვიჩი ჭის ფსკერზე, ყინულის სახლში, ცხოვრობს. ჭიდან წყლის ამოდებისას ბეჯით გოგონას შემთხვევით სათლი ჭაში ჩაუვარდება, რის გამოც ჭის სიღრმეში ჩადის, სადაც ის მოროზ ივანოვიჩს შეხვდება. მოროზ ივანოვიჩი ბეჯით გოგოს სამი დღის მსახურებას ავალებს და მისი კეთილგონივრულობით მოხიბლული ძვირფასი საჩუქრებით დააბრუნებს შინ, დასაჩუქრების სურვილით ჭის ფსკერზე მოხვედრილ უქნარას კი - ყინულებით გამოისტუმრებს (Одоевский, 1841).

ცხადია, რომ ოდოევსკის ლიტერატურული ზღაპრის სახით რუსული პირქუში და შეუბრალებელი ფოლკლორული პერსონაჟის, მოროზკოს, გაკეთილშობილების მცდელობასთან გვაქვს საქმე, რადგან აფანასიევის მიერ ჩაწერილ რუსულ ხალხურ ზღაპრებში ეს მითოსური პერსონაჟი ინარჩუნებს თავის მრისხანე სახეს - მას შეუძლია გაყინოს ან მოკლას ყველა, ვინც თვალში არ მოსდის, ოდოევსკის ზღაპარში უქნარა უსაჩუქროდ კი რჩება, მაგრამ ცოცხალი და უვნებელი.

აფანასიევის მიერ ორ ვარიანტად ჩაწერილ რუსულ ხალხურ ზღაპარში მოროზკო ავი დედინაცვლის სიუჟეტური ტიპის ზღაპრებში გვხვდება (ATU 480). აქ ის უხილავი დემონოლოგიური არსება კი არ არის, ვისაც რუსეთის სოფლებში მსხვერპლს შესწირავდნენ და იმადლიერებდნენ, არამედ პერსონიფიცირებული პერსონაჟი, რომელიც ცხოვრობს უღრან ტყეში, ყინულის კოშკში, და ჩვეულებრივ ეკონტაქტება ადამიანებს (Афанасьев, 1984: 113-117). რუსულ ზღაპრებში შენარჩუნებულია მითოსური მოროზკოს ამბივალენტურობა (რუსულ მითო-რიტუალურ სისტემაში მას შეუძლია როგორც ნაყოფიერების მინიჭება, ისე ნათესების მოსპობა), თუმცა ზღაპრისთვის დამახასიათებელი ტრანსფორმაციით: აქ ის მჩუქებლის ფუნქციით გვხვდება, რომელიც ავი დედინაცვლის ზრდილობიან და კეთილზნიან გერს გამოცდას მოუწყობს, შედეგად კი ძვირფასი მზითევით ასაჩუქრებს. სამაგიეროდ, მოროზკო გაყინვით კლავს ავი დედინაცვლის ზარმაც და თავნება ქალიშვილს, რომელიც მის გამოცდას ვერ გაუძლებს (Афанасьев, 1984: 113-117).

რუსული რეალიზმის წარმომადგენელმა პოეტმა ნიკოლაი ნეკრასოვმა მითოსური ტრადიცია განაგრძო თავის პოემაში „ყინვა წითელი ცხვირი“ (1863 წ.). პოემის მთავარი გმირი, ობლების დედა დარია, შეშის მოსაგროვებლად მიდის ტყეში, იქ მოროზკოს გადაეყრება, რომელიც ქვრივს ჯერ გააწვალებს და ბოლოს მოყინავს. მართალია, ავტორი ფოლკლორისთვის უცნობ სიუჟეტს ავითარებს, თუმცა, ოდოევსკისგან განსხვავებით, ზღაპრულ პერსონაჟს ფუნქციას არ უცვლის, პირიქით, კიდევ უფრო აღრმავებს მოროზკოს ხალხურ ვერსიას (Некрасов, 2011: 3-37).

ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების გავრცელებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ფოლკლორული პერსონაჟი მალე მთელ რუსეთში გახდა პოპულარული; XIX საუკუნის ბოლოს კი „ბაბუა ყინვას“ (Дед Мороз), როგორც მოროზკოს გაკეთილშობილებული ვერსიის, ქანდაკება რუსეთის იმპერიაში უკვე ოფიციალურად დამკვიდრებული საშობაო ნაძვის ხის გვერდით აღმოჩნდა. თანდათან რუსეთის იმპერიის საბავშვო ბაღებში ტრადიციად იქცა საშობაო ნაძვის ხის ზეიმზე კოსტიუმირებული მსახიობის - „ბაბუა ყინვას“ - სტუმრობა, რომელსაც ბავშვები უმღეროდნენ და ლექსებს უკითხავდნენ, ის კი პატარებს ტკბილეულით ასაჩუქრებდა.

ნათელია, რომ საბავშვო ბაღებში „ბაბუა ყინვას“ რიტუალიზებული სტუმრობა და ბავშვების კოლექტიური შეძახილები მის მოსაწვევად - მითოსური მოროზკოს მოპატიჟების ხალხური რიტუალის გამეორებაა, მის ტრანსფორმირებულ სახეს

წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში მასპინძელი სტუმრის გულის მოგებას ცდილობს, და თუ ხალხურ რიტუალში მოროზკოს გამასპინძლება სამეურნეო მიზნით პროფილაქტიკურ მაგიურ ქმედებას წარმოადგენს, ბავშვების შემთხვევაში ლექსებითა და სიმღერებით (როგორც სიტყვის მაგიური ზეგავლენის ძალით) ხდება ბაბუა ყინვას კეთილგანწყობის და საჩუქრების მოპოვება. საბავშვო ბაღების დღესასწაულებზე ყველაზე სასურველი სტუმარი კი განურჩევლად ასაჩუქრებს ზეიმის მონაწილე პატარებს - ზარმაცს და ბეჯითს, ზრდილსა და უხემს და ა.შ.

პირველი მსოფლიო ომის დროს ნიკოლოზ მეორეს კატეგორიულად მოსთხოვა თავისმა გარემოცვამ, აეკრძალა ყველაფერი, რაც გერმანიას უკავშირდებოდა, მათ შორის საშობაო ნაძვის ხეც. იმპერატორმაც არ დააყოვნა და 1916 წლის დადგენილებით, საშობაო ნაძვი ოფიციალური უწყებებიდან გაქრა, თუმცა არისტოკრატთა ოჯახებში კვლავაც მორთული ნაძვის ირგვლივ ზეიმობდა შობას დიდი თუ პატარა. საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა ნიკოლოზ მეორის ყველა დადგენილების გაუქმებასთან ერთად ზემოთხსენებულაც გააუქმეს, რასაც საშობაო ნაძვის რეაბილიტაცია მოჰყვა, 1919 წელს კი, როგორც ვლ. ლენინის ბიოგრაფი ვ. ბონჩ-ბრუევიჩი მოგვითხრობს, თვითონ ლენინი სწვევია საკოლნიკების სკოლაში საზეიმო ნაძვის ხეს და ბავშვები ტკბილეულითა და თხილეულით გაუხარებია (Бонч-Бруевич, 1987: 25-31).

ნაძვის ხის საჯარო სივრცეში დაბრუნება დიდხანს არ გაგრძელდებულა. 1920-იან წლებში საშობაო ნაძვის ხე, როგორც „რელიგიური გადმონაშთი“, რეპრესირებულთა სიაში მოხვდა და მასთან ერთად აიკრძალა თოვლის ბაბუაც, როგორც დემონოლოგიური პერსონაჟის ტრანსფორმირებული სახე. ნაძვის დადგმა აიკრძალა სკოლებსა და საბავშვო ბაღებშიც. პედაგოგებს საშობაოდ ბავშვებთან სტუმრობა და შემოწმება, შემდეგ კი მშობლების სახელმწიფო სტრუქტურაში დაბეზღება დაევალებათ. ვინც მაინც ბედავდა ტრადიციის შენარჩუნებას, ფანჯრებზე მუქი ფარდების ჩამოფარებით ცდილობდა თავდაცვას. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა ნაძვის მორთვა კომუნალურ ბინებში: იქ მეზობლებსაც უფრთხოდნენ და ბინის მეთვალყურესაც (Лебина, 2019). ხალხი ერიდებოდა „რელიგიურ გადმონაშთებთან“ ბრძოლის ჟინით კარდაკარ მოსიარულე მოხალისე კომკავშირელებსაც, რომლებიც ანტისამღვდელო ქადაგების პარალელურად სათანადო ცნობებსაც აგროვებდნენ მოსახლეობაში.

როგორც ჩანს, რელიგიასთან ბრძოლას არ ჰყოფნიდა ახალგაზრდული კომკავშირის მასშტაბები და 1922 წლიდან ის გაგრძელდა ხელისუფლების ანტირელიგიური პროპაგანდის მთავარ ორგანოში, გაზეთში „უღმერთო ჩარხთან“ (Безбожник у станка). ყველა სტატია, მოწოდება და კარიკატურა მიმართული იყო რელიგიური მიკუთვნებულობის გონებრივ და მენტალურ ჩამორჩენილობად გამოცხადებისკენ. გაზეთის რედაქცია დაუფარავად დასცინოდა და აბუჩად იგდებდა არა მხოლოდ სასულიერო პირებს და დღესასწაულებს, არამედ ქრისტეს, მუჰამედს და იაჰვეს და მათთან ერთად ხალხური მითო-რიტუალური სისტემის ღვთაებებს. საეკლესიო დღესასწაულების დღეებში კომკავშირელებთან ერთად გეგმავდნენ ანტისამღვდელო ღონისძიებებს, ხალხს მოუწოდებდნენ, რომ „მღვდლების შობა“ „კომკავშირული შობით“ შეცვლილიყო და ა.შ. საშობაო დღეებში ტრადიციული სადღესასწაულო მსვლელობის ნაცვლად, როგორც იყო ჩვენში „ალილოზე სიარული“, ქუჩებში ისეთივე სადღესასწაულო განწყობით დადიოდნენ კომკავშირელები, მაგრამ გალობის ნაცვლად ღმერთის უარყოფის მოწოდებები ისმოდა, როგორც, მაგალითად, 1923 წლის 7 იანვარს „ღმერთების დამხობის დღედ“ გამოცხადებას მოითხოვდნენ რადიკალური ათეისტები.

საკულტო არტეფაქტებსაც უნდა შესცვლოდა თავიანთი დანიშნულება. საეკლესიო განძეულობის სამუზეუმო ექსპონატებად გადაქცევის მსგავსად, სარიტუალო ნაძვის ხეც, როგორც ხის კულტის ქრისტიანული რეცეფცია, უნდა დაცლილიყო ყოველგვარი საკრალური საზრისისგან და მას ოდენ სამომხმარებლო მნიშვნელობა უნდა შერჩენოდა.

ხის - რომელსაც ხალხურ ტრადიციაში საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა და სამეურნეოც - მნიშვნელობა მხოლოდ უტილიტარული, სამშენებლო-ინდუსტრიული ფუნქციით განისაზღვრა, ხოლო ტყის საკრალიზაციის საკითხი მისი ეკოლოგიური მნიშვნელობით გადაიფარა.

1924 წლიდან, იმდროინდელ საბავშვო ჟურნალების ნოემბერ-დეკემბრის გამოცემებში საშობაო ნაძვის ხის მავნებლობის პროპაგანდა დაიწყო, მაგრამ ის ნაძვების მოჭრის სისასტიკით შეიფუთება ბავშვებისთვის. ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები ტერეზა ხმიადაშვილის პიესა „ნაძვის ტყეში“ თავის მცირეწლოვან მკითხველებს წარმოუდგენს დამწუხრებულ დედა ნაძვს ტყიდან, რადგან მალე საშობაო დღესასწაულები ახლოვდება: „ახლა ის დროა, როცა ბავშვები ჩვენით ირთობენ თავს. მოვლენ კაცები, მოგვჭრიან, წაგვიღებენ დიდ ქალაქში და, ვინ იცის, რომელ დარბაზში ამოგვაცოფინებენ თავს. ბავშვები ითამაშენენ, მოვწყინდებით და ეზოს ნაგვიან კუნჭულში მიგვაგდებენ, აი, ასე დასრულდება ჩვენი სიცოცხლე“ (ხმიადაშვილი, 1924: 8). ნაძვების მოსაჭრელად სცენაზე შემოსულ ცულიან კაცებს, რომლებსაც წინასწარ უხარიათ, რომ ამ მშვენიერ ნაძვებს საშობაოდ ქალაქელებს ჩაუტანენ და დიდ ფულსაც აიღებენ, მონადირე შეაჩერებს: „განა არ იცით, რომ ნაძვების მოჭრა აკრძალულია? თითო ნაძვის მოჭრაზე დიდი ჯარიმაა დადებული და, მგონი, ციხეც“ (ხმიადაშვილი, 1924: 10). ცულიანი კაცები გადაიფიქრებენ ნაძვების მოჭრას; ნაძვები ხარობენ თავისუფლებით, რომ „ადამიანმა შეიგნო თავისი უსამართლობა“ (ხმიადაშვილი, 1924: 10). ნაძვები თავისუფლების სადიდებელ ჰიმნს გუნდურად ასრულებენ, მოქმედ პირებს ატყობინებენ, რომ „ადამიანმა გასცა ასეთი ბრძანება“, რასაც პიესის ბოლოს სცენაზე შემოსული ერთ-ერთი ფერიას დაცინვა მოჰყვება: „ხა, ხა, ხა, ადამიანის გულკეთილობა?! სწორედ ნაძვებისათვის ზრუნავს ადამიანი! ალბათ თავის სარგებლობისათვის გასცა ეს ბრძანება“ (ხმიადაშვილი, 1924: 12). ფერიას მსგავსად, ნაძვების სიხარულის მიმართ ირონიას გამოხატავს მელაც: „საწყლები! მაგათ ჰგონიათ, ვითომ ადამიანი სულ ნაძვებზე ზრუნავს“ (ხმიადაშვილი, 1924:13).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის, ტერეზა ხმიადაშვილის (ტ. ხმიადოვა), ეს ორაზროვანი პიესა, რომელიც საბჭოთა კავშირის ანტირელიგიური და ეკოლოგიური პოლიტიკის ურთიერთკვეთას გამოხატავს, რასაკვირველია, ანტისაშობაო განწყობის შექმნისთვის იქნა გამოყენებული. როგორც ჩანს, ნაძვთან, როგორც საშობაო სიმბოლოსთან, ბრძოლა საქართველოში არ გასჭირვებია კომპარტიას. ერთი წლის შემდეგ, იმავე „ნაკადულის“ 1925 წლის დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი იოსებ გრიშაშვილის ლექსი „უნაძვოდ“ უკვე მიანიშნებს, რომ ნაძვი, როგორც რელიგიური სიმბოლო, ძველი დროის „გადმონაშთია“ და მისი ადგილი საბჭოეთში არ არის:

მართალია, ამ ოთახში
მწვანე ნაძვი არ ანათებს -
ეს მიტომ, რომ ჩვენ არ მივდევთ
ძველ წესებს და ძველ ადათებს.

(გრიშაშვილი, 1925: 2).

ამავე ნომერში კატო ბურჯანაძის მოთხრობაში „ადამიანების აღარ ემინიათ“ გადმოცემულია ნაძვების სიხარული ახალი წლის ცოცხლად შეხვედრის და ადამიანების მიმართ შიშის გაქრობის გამო (ბურჯანაძე, 1925: 3-6).

შედარებით უფროსკლასელებისთვის განკუთვნილი ჟურნალი „წითელი სხივიც“ (რომელიც 1926 წლიდან „პიონერის“ სახელწოდებით გამოდიოდა) 1924 წელსვე ჩაერთვება ანტირელიგიურ მოძრაობაში და ნოემბერ-დეკემბრის ნომერში დავით თურდოსპირელის (ჩხეიძე) მოგონებას დაბეჭდავს - „როგორ გავხდი რევოლუციონერი“ (თურდოსპირელი, 1924: 1-5). ავტორი თავის თხრობას კლასობრივ უთანასწორობაზე აგებს, თუ როგორ აღეძვრა „სიმძულვარე ფუფუნების შვილთადმი და წყურვილი მათი

გაუბედურებისა... ზღვევის მიყენებისა“ (თურდოსპირელი, 1924: 4) . ხოლო პირველ შემთხვევად რომელიღაც გიმნაზიაში დატაკებისთვის გამართული შობის ხის ამბავს ასახელებს. უამრავ ხალხში „მშვენიერი სანახაობა გამოჩნდა. ფერადი სანთლებით აელვარებული შობის ხე...“ (თურდოსპირელი, 1924: 4). ძვირფასად ჩაცმული და თვალმარგალიტით მორთული ქველმოქმედი ქალბატონები ხელსახოცს არ იშორებდნენ ცხვირიდან, რომ დატაკთა სუნისგან არ დაბნედილიყვნენ. „შობის ხე დადღაღებდა და დადღაღებდა... ის სრა-სასახლე და ლამაზი ცხოვრება შევადარე ჩვენს შვიდაბაზიან ქოხს და გატანჯულ არსებობას. შევადარე დედაჩემი - დაკონკილ-ფალასიან, გაკნაჭულ-განათებული - მათ, გააზიზებულებს... და შემძულდა ეს დიდკაცობა. შემზიზლდენ ისინი გველებით, თუმცა მათ გაგვიმართეს გასართობი... კოხტა, ლამაზი პარკებით სათითაოდ დაგვირიგეს ხილეულობა...“ (თურდოსპირელი, 1924: 5).

ტექსტში კლასობრივი სიძულვილის საბაზად მოაზრებული საშობაო ნაძვის ხე, პირველ პირში გადმოსცემს ბავშვის არსებაში სიძულვილის ჩასახვის ამბავს, მაგრამ ის სულაც არ ჰგავს დავით ჩხეიძის ავტობიოგრაფიულ მოგონებას, რომელიც თვითონ იყო თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებული (1911 წ.). მოგვიანებით კი, 1915 წელს, ავტორმა კიევის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, როგორც ჩანს, იმისთვის დაამთავრა, რომ სახელისუფლო პროპაგანდის საბავშვო ენაზე გადმოტანა შესძლებოდა, ან საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ უბრალოდ თავი გადაერჩინა, როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ წევრს.

სწორედ ამ პერიოდში, 1926 წელს, ყოველთვიურ საგლეხო ჟურნალ „ახალ სოფელში“, გლეხი მწერლების რუბრიკაში, გამოქვეყნდა თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ხოპისის მკვიდრის, ვასო აფციაურის, ლექსი „ნუ სჩეხავ ტყესა“:

ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო, მთა გატიტვლდება, ბრალია!
 ია და ვარდი დაზრება, ფესვებს მოუთხრის ქარია.
 ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია,
 თორემ ჩამორეცხს ავდარი, კლდე-და დარჩება სალია.
 მთის ცივი წყარო დაშრება, ყანას მოგიჭამს კალია;
 ვედარს იშოვი ხე-ტყესა, გამოგეთხრება თვალთა,
 დაგლუპავს, დაგანიავეს ძლიერი ზენა ქარია.
 ტყეს გაუფრთხილდი, ძმობილო, ტყე მუდამ შენი ფარია,
 მას ნუ ექცევი მტრულადა, მოყვრულათ მოიხმარია,
 შვილების ცოდოს ნუ იდებ, გამოახილე თვალთა.

(აფციაური, 1926: 16).

ამ ლექსის სრული ვარიანტი ხელნაწერის სახით ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივში, ვასო აფციაურის ხელით გადაწერილ საკუთარი ლექსების კრებულში (8772-ხ, გვ. 32). ხელნაწერში მიმართვა „ძმობილო“ შეცვლილია მიმართვით „მთის კაცო“ და მას ახლავს ორიოდ დამატებული სტროფიც:

... თორემ დაგლუპავს ავდარი, დაგრიყავს ნიაღვარია!
 ცოდოს ნუ იდებ კისერზე, ცოლ-შვილს მავლე თვალთა.
 ნუ ხდები საგინებელი სამარე გელის მალეა.
 მოხვდება შვილიშვილსაცა, უკან ნასროლი ნალია.
 მე ხომ ავიხსენ სრუყველა, რაც იყო ჩემი ვალია.
 გინდა მიილე კარგადა, გინდ ფინდათ ჩამითვალთა.
 ამდენი ხალხის რიგებით დავბერდი, დავილალია.
 შენ სასარგებლოს თუ არ სცნობ, თავში ქვა მიგიხალია!

ცნობილ მეტყვევს, 1869 წელს დაბადებულ ვასო შიოს ძე აფციაურს, ბავშვობა სოფ. ნამტვრიანში გაუტარებია მწყემსობაში; შემდეგ თონეთის სკოლაში წაუყვანია ვაჟა-

ფშაველას, წერა-კითხვაც უსწავლებია და პოეზიაც შეუყვარებია მისთვის (გიგაური, 1971: 10). ვ. აფციაური თითქმის მთელი ცხოვრება ტყეს ემსახურა და არაერთი ლექსი აქვს დაწერილი ტყის თემატიკაზე. მაგალითად, 1927 წელს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ კრებულ „ტყის დღეში“ დაიბეჭდა მისი კიდევ ორი ლექსი (ტყის დღე, 1927: 166-167); ლიტერატურის მუზეუმში დაცულ კრებულში (8772-ბ) ასევე რამდენიმე ლექსს ვხვდებით ტყის თემატიკაზე.

ავტორის შემოქმედების სხვა ნიმუშებისგან განსხვავებით, „ტყეებს ნუ სჩეხავ“ მალევე გახდა პოპულარული, გაუჩნდა ხალხური ვარიანტები, რომელთაც ფოლკლორისტები, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იწერდნენ სხვადასხვა დროს. მაგალითად, 1938 წელს ეს ლექსი აპ. მახარაძეს ჩაუწერია სოფ. იყალთოში ს. მაკარაშვილისაგან (ქართული ხალხური პოეზია, 1980: 259); გაზ. „სოფლის ცხოვრების“ 1971 წლის 28 აგვისტოს ნომერში მოთავსებული ვინმე ნ. ჩოკოლაშვილის ცნობით, ლექსის - „ტყეებს ნუ ჰკავავ, ძმობილო“ - ავტორი თიანეთის რ-ნის სოფ. ჯიჯეთის მცხოვრები ნიკო მოკვერიშვილი ყოფილა, რომელიც 1931 წელს დაუწერია და იმავე წელს გამოუქვეყნებია ზარიძეების სასოფლო საბჭოს კედლის გაზეთში „სტალინური გზით“. ნ. ჩოკოლაშვილი „ამ მშვენიერ, უკვე აღიარებულ ლექსს“ ავტორისეულ ორ სტრიქონსაც ამატებს: „თუ ცული მასჭრის - რკინაა, / რადა სჭრის ცულის ტარია?“ (ჩოკოლიშვილი, 1971: 4); 1965 წელს გამოცემულ „ხალხური სიბრძნის“ მეოთხე ტომში დამოწმებული ვარიანტი უ. ცინდელიანს ჩაუწერია 1961 წელს სოფ. მარტყოფში, ს. ახალკაციშვილისგან (ხალხური სიბრძნე, 1965: 542) და ა.შ..

დღესდღეობით ხსენებული ლექსი სასკოლო სახელმძღვანელოებში ხალხური პოეზიის რუბრიკაშია მოთავსებული და ბავშვები მას სწავლობენ, როგორც ხალხურ ლექსს. მეტიც, დიდი ხანია, სასკოლო სისტემაში ეკოლოგიის საკითხზე განხორციელებული პროექტების 90% მიმდინარეობს სათაურით და/ან ლოზუნგით - „ტყეებს ნუ კავავ!“ ან „ტყე შეუნახე შვილებსა!“. ხშირად ლექსი ვაჟა-ფშაველას მიეწერება და ამავე ტექსტზე რევაზ ლალიძის მიერ შექმნილი სიმღერის ტექსტის ავტორადაც ვაჟა-ფშაველაა დასახელებული.

ამ ლექსის სახით უნიკალურ ფოლკლორულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რადგან შეგვიძლია, თვალი გავადევნოთ ტექსტის გახალხურების პროცესს: 1. თითქმის საუკუნის წინ შექმნილი ლექსის ავტორ-მთქმელის ვინაობა დადასტურებულია ქართულ პრესაში და საარქივო ჩანაწერებში; 2. დროთა განმავლობაში ლექსი გახალხურდა - ვარიანტები შეიძინა: ლექსის ავტოგრაფიულ ხელნაწერებთან ერთად არსებობს მისი ხალხური ვარიანტები; 3. ფოლკლორიზაციის პროცესში დაიკარგა ინდივიდუალური ავტორ-მთქმელის ვინაობა, ტექსტი ანონიმური გახდა; 4. ვარიანტულობის და ანონიმურობის პარალელურად, ლექსი ზუსტად მოერგო საბჭოთა პროპაგანდას და იმ პოლიტიკურ კონტექსტს, რომელში ჩართულიც აღმოჩნდა საქართველო 1921 წლიდან.

როდესაც საბჭოთა კავშირის ანტირელიგიურ პროპაგანდაში ნაძვის ხის აკრძალვა კულმინაციას მიაღწევს (1928-1929 წლები), მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი სწორედ მსგავს ლექსებს შეამჯობებს ხელისუფლებას და „მუკს“, რათა საკულტო საგანი ყოველგვარი საკრალური მნიშვნელობისგან დაიცალოს ადამიანების ცნობიერებაში და მას მხოლოდ ვიწრო, უტილიტარული მნიშვნელობა შერჩეს.

ლექსის წაკითხვით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ხალხურ ტრადიციებზე გაზრდილ მეტყვევ ვასო აფციაურს წინაპრებისგან არასოდეს გაეგონა, რომ ტყე ქაოსის, მიღმა სამყაროს, განსახიერებაა, იზოლირებულია ადამიანთა საცხოვრისისგან, როგორც „სხვა სამყარო“, და შესაბამისად, ტაბუირებულიც; თითქოს არასოდეს ენახა, როგორ ემზადება უცხო სამყაროში გადასაბიჯებლად ტყეში წამსვლელი მონადირე და განმწმენდ რიტუალებს ატარებს საზღვრის დაღაზვის წინ; თითქოს არ იცოდა, რომ ხალხის ცნობიერებაში ნადირის დახოცვა ყოველთვის ლიმიტირებული იყო, რადგან ტყის ბინადართ ჰყავდათ თავიანთი მფარველი ნადირთპატრონები და დემონოლოგიური

არსებები და რომ ხალხის ცნობიერებაში ასევე ლიმიტირებული იყო ახალგაზრდა ხეების მოჭრა. ლექსის საბჭოთა ინტერპრეტაციით გამოირიცხა ავტორის კულტურული იდენტობა და ბავშვობიდან გათავისებული ცოდნა, რომ ეს ხალხური დაუწერელი კანონები, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ტყის ეკოლოგიაზე ზრუნვასაც გულისხმობდა, ერთგვარ ხალხურ ეკოლოგიას, და რომ ტყის საკრალურობის განცდა თავისთავად უზღუდავდა ადამიანს მის უმიზნო გაჩეხა-გაკაფვას.

მომავალი თაობებისთვის ეკოლოგიური საფრთხეების აცილება - „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია / არ გაჰხდე საგინებელი, მკვდარს არ დაგადონ ვალია“ (ქართული ხალხური პოეზია, 1980: 258), - რაც ლექსის ძირითადი აქცენტი მის სამშენებლო ფუნქციასთან ერთად - „ვერც სახლის ხე-ტყეს იშოვი“, იდეალურად შეესაბამა საბჭოთა პროპაგანდის მიერ ღირებულებების გადაფასების პროცესს.

ნაძვის ხის მიმართ გამოცხადებულ იდეოლოგიურ ბრძოლას უფრო მძლავრი წინააღმდეგობა შეხვდა რუსეთის ტერიტორიაზე. შობის დღეებში განსაკუთრებით აქტიურდებოდა ანტირელიგიური საბჭოთა პროპაგანდისტული პოსტერების ტირაჟირება, რომლებიც საკავშირო მასშტაბით ვრცელდებოდა, რათა საბჭოეთის ყველაზე მიყრუებულ კუნჭულშიც შეეღწია იდეოლოგიურ მუხტს. ამ პოსტერების მიხედვით, ნაძვის ხე კლასობრივი მტრის ხატის ორმაგ სიმბოლოს წარმოადგენს: ერთი მხრივ ის ბურჟუაზიული გადმონაშთია, მეორე მხრივ - რელიგიური. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. ამოსოვის პროპაგანდისტული ბროშურა „საშობაო ნაძვის წინააღმდეგ“. ბროშურა კარიკატურული ილუსტრაციებით არის გადატვირთული, სადაც ნაძვის ხის მავნებლობებია გადმოცემული: „ბავშვის რელიგიურობა სწორედ ნაძვის ხიდან იწყება, რომელიც ადავსებს რა ბავშვის არსებას, აავადებს მას რელიგიური განწყობილებით და იდუმალი ძალისადმი რწმენით. ბავშვი იწამლება რელიგიური შხამით და მცდარი შეხედულება უვითარდება გარესამყაროზე, რაც შემდგომში ხელს უშლის მას სწავლასა და მუშაობაში“ (Амосов, 1930). ბროშურაში საშობაო ნაძვთან ერთად გამასხარავებულია თოვლის ბაბუაც, სამღვდელოებაც და ბურჟუაზიაც. მეტიც, ნაძვის ხე წარმოდგენილია, როგორც კლასობრივი მტრების იარაღი ადამიანების, და განსაკუთრებით - ბავშვების, მოსატყუებლად.

ცენტრალიზებულ პროპაგანდას ქვეყნის ყველა სოციალურ დონეზე უნდა შეეღწია. საბჭოეთის ეპისტემური პარადიგმა ყველა სულიერზე უნდა გავრცელებულიყო: საბავშვო ბაღებისა და სკოლის მასწავლებლებს დაევალიათ ბავშვებში ანტისაშობაო განწყობის გაღვივება, რასაც ემსახურებოდა სკოლებში გახშირებული ე.წ. „ანტისაშობაო საღამოები“ (Душечкина 2002: 10); ამავე მიზნით იგეგმებოდა კომკავშირის მიერ ორგანიზებული აქციები არასრულწლოვანთა მონაწილეობით და მოწოდებებით: „მშობლებო, ნუ გვატყუებთ! არ იზეიმოთ შობა და ნაძვის ხე!“, „აღზარდე შვილი პედაგოგის დახმარებით და არა ღმერთის!“ და ა.შ..

თაობის აღზრდაში მშობლის როლის დაკნინების ხარჯზე მასწავლებლის როლის გაზრდა - ფაქტობრივად, სახელმწიფოს მიერ მშობლის როლის უარყოფა - მიმართული იყო მორწმუნე ოჯახებში კონფლიქტის გაღვივებისკენ, რადგან ანტირელიგიური მოწოდებებით და აქტივობებით შთაგონებულ ახალგაზრდობას საკუთარი მშობლების და ბებია-ბაბუების წინააღმდეგ ამხედრებდა. იმავე ეპისტემურ დისკურსს ემსახურებოდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები, ილუსტრაციები და მხატვრული ლიტერატურა. რუსეთში ეს პროცესი 1930-იან წლებშიც გაგრძელდა და ქართული საბავშვო ჟურნალებისგან განსხვავებით უფრო მკვეთრი აქცენტი კეთდებოდა ანტირელიგიურ პროპაგანდაზე.

მაგალითად, საბავშვო ჟურნალ „ჭიკჭავის“ («Чиж») 1931 წლის დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა 9-10 წლის ასაკის ბავშვების მიერ ილუსტრირებული ა. ფინოგენოვის მოთხრობა „ნაძვის გარეშე“, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ მოძღვრავს გახანგრძლივებული

ტიპის ბავშვთა აღზრდის ერთ-ერთი კერის - „ოჩაგის“ (Детский очаг) - ხელმძღვანელი სკოლის მოსწავლეებს და ასწავლის, რომ შობა მღვდლების მოგონილი მავნე დღესასწაულია გაუნათლებელი ხალხის მოსატყუებლად, რომ ნაძვების გაკაფვა ტყეს აზიანებს და ა.შ. სიუჟეტში კონფლიქტი წარმოიქმნება, როდესაც ერთ-ერთი გოგონა განაცხადებს, რომ მას სახლში შარშანაც ედგა საშობაო ნაძვი, და რომ ბებიას ის ეკლესიაშიც დაჰყავს. მოსწავლეები გადაწყვეტენ, წერილი მისწერონ გოგონას დედას, რათა მან არ უყიდოს ნაძვი თავის შვილს და საშობაოდ „ოჩაგში“ გამოუშვას. დედა დათანხმდება, ხოლო ბავშვები კმაყოფილები არიან თავიანთ ხელმძღვანელთან ერთად. მოთხრობის ფინალში ავტორი გადმოგვცემს, რომ „ოჩაგში“ გატარებულ შობის დღეს ბავშვებმა ანტირელიგიური სიმღერები ისწავლეს და ჩანაწერები მოამზადეს კედლის გაზეთისთვის (Финогенов, 1931: 4-6).

ამავე ნომერში ა. ფინოგენოვის მოთხრობას მოსდევს ალექსანდრ ვვედენსკის ლექსი „არ დავეშვებთ“, რომელიც ასევე მიმართულია ნაძვების მოჭრის წინააღმდეგ. ლექსი პირველი პირის მრავლობით რიცხვშია დაწერილი და მთავარი იდეა თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ბავშვები არ დაუშვებენ ნორჩი ნაძვების მოჭრას და ტყის უაზროდ განადგურებას. სინამდვილეში ლექსი ანტირელიგიურ პროპაგანდაზეა აგებული, რომ ნაძვის ხეს მხოლოდ მღვდლების მეგობარი დღესასწაულობს და არა პიონერი; რომ საბჭოთა ბავშვები მღვდლების მტრები არიან და მათ შობა არ სჭირდებათ:

«Не позволим мы рубить молодую елку,
Не дадим леса губить, вырубать без толку.
Только тот, кто друг попов, елку праздновать готов.
Мы с тобой — враги попам, Рождества не надо нам».

(Введенский, 1931: 6)

ასე იქცა ეკოლოგია რელიგიურ ტრადიციებთან ბრძოლის ერთ-ერთ არგუმენტად და დაიწყო მიზანმიმართული ბრძოლა ხეების მოჭრის და ტყეების განადგურების წინააღმდეგ. ამიტომაც მოერგო ზემოთ ხსენებული ლექსი - „ტყეებს ნუ კაფავ“ - ასე ორგანულად საბჭოთა პროპაგანდას და ამავე მიზეზით გავრცელდა ის. იმავდროულად, ისევ და ისევ პროპაგანდისტული მიზნებით, მეტად მოსახერხებელი იყო, რომ ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტის ლექსი მოსწყვეტოდა თავის შემქმნელს და ინდივიდუალურ შემოქმედებად კი არა, კოლექტიური წარმომავლობის ხალხურ ნაწარმოებად გასაღებელიყო, რომელიც, „ხალხის ხმას“ გამოხატავდა და არა ერთი რიგითი მოკვდავის.

მოგვიანებით, 1935 წლის მიწურულს, საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, იგრძნო სახალხო დღესასწაულების აუცილებლობა ადამიანებისთვის და, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის და რამდენიმე წლით რეპრესირებული ნაძვის ხის რეაბილიტაცია გადაწყვიტა, ოღონდ ამჯერად არა საშობაო, არამედ როგორც სახალწლო დღესასწაულის მთავარი ატრიბუტისა; 1936 წლის პირველ იანვარს მთელი საბჭოეთი მორთულ-მოკაზმული ნაძვებით შეხვდა. ამ მოვლენას წინ უძღოდა უკრაინელი ბოლშევიკის, პაველ პოსტიშევის, წერილი გაზ. „პრავდას“ 1935 წლის 28 დეკემბერის ნომერში, რაც თვითმხილველების მოგონებების თანახმად, შეთანხმებული იყო იოსებ სტალინთან. წერილის ავტორი თანამოქალაქეებს ბავშვებისთვის სახალწლოდ ნაძვის ხის ორგანიზებას სთავაზობდა. წერილის დისკურსი დაფუძნებულია იმპერიის პერიოდის ნაძვსა და პროლეტარიატის კოლექტიურ ნაძვის ხეს შორის განსხვავებაზე. წერილის ქართული თარგმანი 31 დეკემბრის გაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა. ავტორი მოუწოდებს პიონერთა ხელმძღვანელებს და კომკავშირელებს, რომ სახალწლოდ ყველა სკოლასა და ბაღში აუცილებლად იდგეს საბჭოთა ნაძვის ხე:

გავუმართოთ ბავშვებს ახალი წლისათვის კარგი ნაძვის ხე!

რევოლუციამდე ბურჟუაზია და ბურჟუაზიის მოხელეები ახალი წლისათვის თავიანთ ბავშვებს ყოველთვის უმართავდნენ ნაძვის ხეს. მუშათა ბავშვები

ფანჯრიდან შურის თვალით უყურებდნენ ათასფრად გაჩირაღდანებულ ნაძვის ხეს და მდიდართა შვილებს, რომლებიც მის გარშემო მხიარულობდნენ. რატომ არის, რომ ჩვენი სკოლები, საბავშვო სახლები, ბაგები, საბავშვო კლუბები, პიონერთა სასახლეები ამ დიდ სიამოვნებას აკლებენ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ბავშვებს? ვიღაცა გადამხვევებმა უეჭველია „მემარცხენე“ გადამხვევებმა ბავშვთა ეს გასართობი ბურჟუაზიულ თავმესაქცევად მონათლეს. საჭიროა, ბოლო მოვულოთ ბავშვთა ამ საუცხოო გასართობის - ნაძვის ხის უმართებულო დაგმობას. კომკავშირელებმა, პიონერ-მუშაკება ახალი წლისთვის უნდა მოაწყონ კოლექტიური ნაძვის ხეები ბავშვთათვის სკოლებში, საბავშვო სახლებში, პიონერთა სახლებში, პიონერთა სასახლეებში, საბავშვო კლუბებში, საბავშვო კინოებსა და თეატრებში - ყველგან უნდა იყოს საბავშვო ნაძვის ხე! არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, სადაც მისმა გამგეობამ კომკავშირელებთან ერთად ახალი წლის წინა დღეს არ მოაწყოს ნაძვის ხე თავისი ბავშვებისათვის. საქალაქო საბჭოებმა, რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეებმა - სასოფლო საბჭოებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა დახმარება უნდა გაუწიონ საბჭოთა ნაძვის ხის მოწყობას ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ბავშვთათვის. ჩვენი ბავშვები მხოლოდ ბადლობელი დარჩებიან საბავშვო სახალწლო ნაძვის ხის მოწყობით.

დარწმუნებული ვარ, კომკავშირელები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში და გააქარწყლებენ იმ სულელურ აზრს, თითქოს საბავშვო ნაძვის ხე ბურჟუაზიულ ცრურწმენას წარმოადგენდეს.

მამ ასე, მოვაწყოთ ახალი წლის მხიარული შეხვედრა ბავშვთათვის, მოვაწყოთ კარგი საბჭოთა ნაძვის ხე ყველა ქალაქსა და კოლმეურნეობაში!

(პოსტიშევი, 1935: 1).

საკავშირო მასშტაბით ატეხილ ნაძვის ხეების ჭრის პროცესში ეკოლოგია ყველას დაავიწყდა. ნაძვის ხეები იდგმებოდა არა მხოლოდ საბავშვო და ახალგაზრდულ ცენტრებში, არამედ იქაც კი, სადაც მას უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სასტიკად დასცინოდნენ და სდევნიდნენ, მიიჩნევდნენ „ჩამორჩენილობად“ და „ჭკუასუსტობად“. ერთი სიტყვით, ნაძვის ხე მიიღეს კომპარტიაში და მასთან ერთად მთავარი სახალწლო პერსონაჟი თოვლის ბაბუაც თავის ფიფქია (Снегурочка) შვილიშვილთან ერთად - უკვე 1937 წლიდან.

მოროზკოს იმდენი ტრანსფორმირებული სახე გაუჩნდა, რამდენი რესპუბლიკაც შედიოდა იმ მომენტისთვის საბჭოთა კავშირში. ასე მაგალითად, ქართველ თოვლის ბაბუას თეთრი ჩოხა-ახალუხი ჩააცვეს, თეთრი ნაბადი მოჰხვიეს და ხურჯინი გადაჰკიდეს. სრულიად განსხვავდებოდა მისგან სომხური ან უზბეკური თოვლის ბაბუა, რომლებიც ასევე საკუთარ ეროვნულ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი. ყველა ერი ვალდებული იყო, გაეზიარებინა რუსულ ფოლკლორზე დაფუძნებული სეკულარული თოვლის ბაბუას იდეა, მისი ნაციონალიზაციის კანონიერი „უფლებით“, რათა უფრო ახლობელი გამხდარიყო ის ხალხისთვის. ერთი შინაარსი და მრავალი ფორმა - მრავალეროვან იმპერიაში ამგვარი მოდელის გათამაშება ერთგვარი კარიკატურული ანალოგიაა ბიზანტიის იმპერიისა, რომელშიც საყოველთაო გამაერთიანებელი ფაქტორი ქრისტიანული რელიგია იყო, ხოლო დვთისმსახურების საკუთარ კულტურასა და ენაზე განხორციელება - ცალკეული ერის უფლება.

ასე დაუბრუნა იოსებ სტალინმა საბჭოთა ბავშვებს სახალწლო ნაძვის ხე და სიკეთით სავსე, ყველასთვის საყვარელი და სანატრელი თოვლის ბაბუა. გაზ. „კომუნისტის“ 1936 წლის პირველივე ნომერი იტყობინებოდა 31 დეკემბერს თბილისის სხვადასხვა სკოლაში სახალწლო ნაძვის ხის მორთვა-მოკაზმვაში ჩართული მოსწავლეების ჟრიამულის შესახებ. ტფილისის მე-15 სკოლიდან რეპორტაჟის ავტორის, შ. ჯიქიას, შეკითხვას - ჰქონდათ თუ

არა მათ შარშან ნაძვის ხე, მოსწავლეები პასუხობენ: „არა, წელს მია პოსტიშევის თაოსნობით ეწყობა თურმე - ასე აგვიხსნა მასწავლებელმა ამ დილით, „კომუნისტშიც“ სწერია. [...] წინათ ნაძვის ხეზე სანთლებს აკეთებდნენ და ბავშვებს ალოცებდნენო - ასე გვითხრა დღეს მასწავლებელმა ნუნუმ... რა სულელები ყოფილან? აბა, ლოცვა რის მაქნისია? მია ლენინი გვასწავლიდა: ისწავლეთ, ისწავლეთ და კიდევ ისწავლეთო. თუ კარგად არ ისწავლე, ისე არც მხიარულება ვარგა...“ (ჯიქია, 1936: 4). ხოლო 36-ე სკოლაში ტკბილეულთან და ხილთან ერთად მოსწავლეებისთვის სასაჩუქრედ ამხ. სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, ორჯონიკიძის, ვოროშილოვის, პოსტიშევის და სხვათა პორტრეტები შეუძენია სკოლის დირექტორს („კომუნისტი“, N. 1/1936, გვ. 4). პოსტიშევის წერილს გამოეხმაურა ტფილისის სახელმწიფო ოპერაც და 6 იანვრისთვის საბავშვო ზეიმი - „ნაძვის ხე - მასკარადი“ დააანონსა ოპერის სცენაზე, სადაც ფერადი ნათურებით გაბრწყინებული 7 მეტრის სიმაღლის ნაძვის ხე დაიდგმებოდა - კენწეროზე ხუთქიმიანი ვარსკვლავით („კომუნისტი“, N. 1/1936, გვ. 4).

გაზეთ „კომუნისტის“ მომდევნო, 3 იანვრის ნომერში 31 დეკემბრის თემას ვ. მაცაბერიძის რეპორტაჟი განაგრძობს, სადაც ხაზგასმულია, რომ სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ამხანაგ სტალინს „ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისთვის“, „ბავშვების საუკეთესო მეგობარს“ - პაველ პოსტიშევს და ბოლშევიკების წინამძღოლს - ლავრენტი ბერიას (მაცაბერიძე, 1936: 4). გამომსვლელთა სიტყვებში კვლავაც მეორდებოდა პოსტიშევის მიერ ბურჟუაზიული და საბჭოთა ნაძვის ხის ოპოზიცია.

დასკვნა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩემ მიერ გამოკითხულ იქნა ორასამდე 2003-2005 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაბადებული სტუდენტი. გამონაკლისის გარეშე ყველასთვის ნაძვის ხე ახალ წელთან ასოცირდება და არა შობასთან. ალბათ საბჭოეთის ისტორიაში მწელად მოიპოვება ისეთი „წარმატებული“ და დღემდე ცოცხალი სახალხო პროექტი, როგორც იყო საახალწლო ნაძვის ხე. ორჯერ გახდა ნაძვი საბჭოთა ხელისუფლების მანიპულირების ობიექტი: როცა დასჭირდა, აკრძალა ანტირელიგიური მოსაზრებებით და დააბრუნა სახალხო ზეიმისა და სანახაობის არსებობის საჭიროებით.

1936 წლის იანვრის ჟურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო ნაძვის ხეების ფოტოებით და იქვე იოსებ სტალინის ომახიანი მოწოდებით: „ამხანაგებო, ცხოვრება გახდა უკეთესი, ცხოვრება გახდა უფრო მხიარული!“. ჰქონდა თუ არა განწყობა, ყველა იძულებული იყო, გაემეორებინა საბჭოური მეტანარატივი, აჰყოლოდა ეპოქის ხმას. არაფერი ისე ნათლად არ აჩვენებს ბოლშევიკების დამოკიდებულებას ადამიანებისა და საგნებისადმი, ადამიანური გრძნობებით თამაშს, როგორც ეს ორმაგი მანიპულირება ნაძვის ხით. ამ ორმაგობით თუ ბედის ირონიით, 1936 წელს „ბავშვების საუკეთესო მეგობრად“ აღიარებული პაველ პოსტიშევი 1937 წლის სტალინური რეპრესიების ერთ-ერთი აქტორი გახდა, ხოლო 1939 წელს სტალინის ერთგული თანამოაზრე პოსტიშევი იაპონიის ჯაშუშობისა და ტროცკისტობის ბრალდებით დახვრიტეს.

ამგვარად, კვლევამ აჩვენა, როგორ გამოიყენა საბჭოთა ხელისუფლებამ ხის კულტი საკუთარი იდეოლოგიისთვის და როგორ აქცია ის საბჭოური მეტანარატივის ნაწილად; როგორ შექმნა მითოსური მოროზკოს რეკოდირებით ახალი პერსონაჟი, რომლის ნაციონალურ ფორმას თეთრ ჩოხაში გამოწყობილი თოვლის ბაბუა წარმოადგენს.

ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა ტყის სიყვარულით შთაგონებული ხალხური მთქმელი, ვასო აფციაური, რომ ნებით თუ უნებურად საბჭოური პროპაგანდის გავლენას განიცდიდა, როცა ამ ულამაზეს ლექსს წერდა. იმ დროსა და სივრცეში პირადი სივრცის ეკოლოგიურობა შეუდარებლად რთული ამოცანა იყო, ვიდრე ტყის ეკოლოგიაზე ზრუნვა. ვასო აფციაური ალბათ ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ დროთა განმავლობაში მისი ლექსი დაკარგავდა ავტორს და 100 წლის შემდეგ სასკოლო სახელმძღვანელოების ფოლკლორის

რუბრიკაში განთავსდებოდა, როგორც ანონიმური ხალხური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუში.

გამოყენებული ლიტერატურა

- აფციაური, ვ. (1926). ტყეებს ნუ სჩეხავ. *ახალი სოფელი*. #4. მარტი. გვ. 16.
- ბურჯანაძე, ვ. (1925). ადამიანების აღარ ეშინიათ. *ნაკადული*. #11-12. გვ. 3-6.
- გიგაური, ს. (1971). ვისია ლექსი „ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო!“. *დროშა*. #12. გვ. 10-11.
- გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივი. ხელნაწერთა კოლექცია. # 8772-ბ.
- გრიშაშვილი, ი. (1925). უნაძვოდ. *ნაკადული*. #11-12. გვ. 2.
- თურდოსპირელი, დ. (1924). როგორ გავხდი რევოლუციონერი. *პირველი სხივი*. #11-12. გვ. 1-5.
- მაცაბერიძე, ვ. (1936). მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის. *კომუნისტი*. #2 / 3.01. გვ. 4.
- პოსტიშევი, პ. (1935). გავუმართოთ ბავშვებს ახალი წლისათვის კარგი ნაძვის ხე. *კომუნისტი*. #303 / 31.12. გვ. 1.
- ტყის დღე. (1927). კრებული მეორე. ტფილისი: მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოცემა.
- ქართული ხალხური პოეზია. (1980). ტ. XII. თანამედროვე ლექსები. მიხ. ჩიქოვანის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჩოკოლიშვილი, ნ. (1971). სიმღერის სათავე. *სოფლის ცხოვრება*. #201/28.08. გვ. 4.
- ცნობის ფურცელი. (1896). # 67.
- ხალხური სიბრძნე. (1965). ტ. IV, ქართული ხალხური პოეზია. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- ხმიადაშვილი, ტ. (1924). ნაძვის ტყეში. *ნაკადული*. #12. გვ. 7-13.
- ჯიქია, შ. (1936). მადლობა მია პოსტიშევს. *კომუნისტი*. #1/ 1.01. გვ. 4.
- Petz, J. (2022). *Der Christbaum ist immer ein Spiegel seiner Zeit*. <https://fokus.swiss/lifestyle/winter/weihnachten/christbaum-geschichte/> დამოწმება 15.04.2023.
- Амосов, Н. (1930). *Против рождественской елки*. Москва: «Безбожник».
- Афанасьев, А. Н. (1984). *Народные русские сказки*. А. Н. Афанасьева. Т. 1. Москва: «Наука».
- Бонч-Бруевич, В. Д. (1987). *Ленин и дети. Рассказы*. Москва: «Детская Литература».
- Введенский, А. (1931). Не Позволим. *Чиж*. №12/1931. стр. 6.
- Душечкина, Е. В. (2002). Из истории русской елки (1920-е–1930-е годы). *Живая старина*. №4/2002, стр. 9-11. http://annales.info/rus/small/elka.htm#_ftnref8 დამოწმება 14.05.2023.
- Душечкина, Е. В. (2014). *Русская елка: История, мифология, литература*. Санкт-Петербург.
- Иванов, В. В., & Топоров, В. Н. (1997). *Мороз*. Мифы народов мира. Под ред. С. Токарева. т. 2. Москва. стр. 176.
- Лебина, Н. (2019). *Пассажиры колбасного поезда. Этюды к картине быта российского города: 1917-1991*.
- Некрасов, Н. (2011). *Мороз, Красный Нос. Поэмы и стихи*. Москва: «Искатели». стр. 3-37.
- Одоевский, В. (1841). *Мороз Иварович*. <https://russkaja-skazka.ru/moroz-ivanovich-odoevskiy/> დამოწმება 10.04.2024
- Финогенов, А. (1931). Без Елки. *Чиж*. №12, стр. 4-6.

REFERENCES

- aptsiauri, v. (1926). t'qeebs nu schekhavi [Don't cut down forests]. *akhali sopeli [Akhali sopeli]*. #4. mart'i. p. 16.
- burjanadze, k'. (1925). adamianebis aghar eshiniat [They are no longer afraid of people]. *nak'aduli [Nakaduli]*. #11-12. pp. 3-6.
- gigauri, s. (1971). visia leksi „t'qeebs nu schekhavi, dzmobilo!“ [Whose poem is "Don't cut down the forests, brother!"]. *drosha [Drosha]*. #12. pp. 10-11.
- giorgi leonidzis sakhelobis kartuli literaturis museumi. khelnats'erta kolektsia. [Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature. Manuscript collection]. # 8772-kh.
- grishashvili, i. (1925). unadzvod [Without spruce]. *nak'aduli [Nakaduli]*. #11-12. p. 2.
- turdosp'ireli, d. (1924). rogor gavkhdi revolutsioneri [How I became a revolutionary]. *p'irveli skhivi [Pirveli skhivi]*. #11-12. pp. 1-5.
- matsaberidze, v. (1936). madloba did st'alins bednieri da saamuri tskhovrebisatvis [Thanks to great Stalin for a happy and peaceful life]. *k'omunist'i [Komunisti]*. #2 / 3.01. p. 4.
- p'ost'ishevi, p'. (1935). gavumartot bavshvebs akhali ts'lisatvis k'argi nadzvis khe [Let's arrange a good spruce for the children for the New Year]. *k'omunist'i [Komunisti]*. #303 / 31.12. p. 1.
- t'qis dghe [T'qis dghe]. (1927). The second collection. Tiflis: Publication of the People's Commissariat of Agriculture.
- kartuli khalkhuri p'oezia [Georgian folk poetry]. (1980). Vol. XII. Modern poems. Edited by M. Chikovani. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- chok'olishvili, n. (1971). simgheris satave [The beginning of the song]. *soplis tskhovreba [Soplis tskhovreba]*. #201/28.08. p. 4.
- tsnobis purtseli [Tsnobis purtseli]. (1896). #67.
- khalkhuri sibrdze [Folk wisdom]. (1965). Vol. IV, kartuli khalkhuri p'oezia [Georgian folk poetry]. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.
- khmiadashvili, t'. (1924). nadzvis t'qeshi [In a spruce forest]. *nak'aduli [Nakaduli]*. #12. pp. 7-13.
- jikia, sh. (1936). madloba dzia p'ost'ishevs [Thanks to Uncle Postishev]. *k'omunist'i [Komunisti]*. #1/ 1.01. p. 4.
- Petz, J. (2022). *Der Christbaum ist immer ein Spiegel seiner Zeit*.
<https://fokus.swiss/lifestyle/winter/weihnachten/christbaum-geschichte/> დამოწმება
 15.04.2023.
- Amosov, N. (1930). *Protiv rozhdestvenskoj elki [Against the Christmas tree]*. Moscow: «Bezbozhnik».
- Afanasyev, A. N. (1984). *Narodnye russkie skazki [Russian folk tales]*. By A. N. Afanasyev. Vol. 1. Moscow: «Nauka».
- Bonch-Bruевич, V.D. (1987). *Lenin i deti. Rasskazy [Lenin and children. Stories]*. Moscow: «Detskaja Literatura».
- Vvedenskij, A. (1931). Ne Pozvolim [We won't allow it]. *Chizh [Chizh]*. №12/1931. p. 6.
- Dushechkina, E. V. (2002). Iz istorii russkoj elki (1920-e–1930-e gody) [From the history of the Russian Christmas tree (1920s–1930s)]. *Zhivaja starina [Zhivaja starina]*. №4/2002, pp. 9–11. http://Annales.info/rus/small/elka.htm#_ftnref8 14.05.2023.
- Dushechkina, E.V. (2014). *Russkaja elka: Istorija, mifologija, literatura [Russian Christmas tree: History, mythology, literature]*. St. Petersburg.
- Ivanov, V. V., & Toporov, V. N. (1997). *Moroz [Moroz]*. Mify narodov mira [Myths of the peoples of the world]. Edited by S. Tokareva. Vol. 2. Moscow. p. 176.
- Lebina, N. (2019). *Passazhiry kolbasnogo poezda. Jetjudy k kartine byta rossijskogo goroda: 1917–1991 [Sausage train passengers. Sketches for a picture of everyday life in a Russian city: 1917–1991]*.

- Nekrasov, N. (2011). *Moroz, Krasnyj Nos. Pojemy i stihy [Frost, Red Nose. Poems and verses]*. Moscow: «Iskateli». pp. 3-37.
- Odoevskij, V. (1841). *Moroz Ivarovich [Moroz Ivanovich]*. <https://russkaja-skazka.ru/moroz-ivanovich-odoevskiy/>
10.04.2024
- Finogenov, A. (1931). *Bez Elki [Without spruce]. Chizh [Chizh]*. №12, pp. 4-6.